პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 140 (20181) — პარასკევი, 17 ივნისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სს რესპუბლიკაში XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვა.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თეზისების განხილვა დაიწყო მათი გამოქვეყნებისთანავე. რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები დიდ დაინტერესებას იჩენენ "თეზისებში ნაჩოყალითებული დებულებებისადმი, მიაჩნიათ ისინი მკაფიო ანმოკვეკსურ პროგრამად, რომელიც აღრმავებს და ავითარებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნისა და განახლების პროცესებს, ანიჭებს მათ შეუქცევად ხასიათს.

თეზისები უკვე განიხილა პლენუმებზე და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიულ ჯგუფებს, შრომითი და საწარმოო კოლექტივებს, მოკალაქეთა საცხოვრებელ ადგილებში გამართულმა 10 ათასზე მეტმა კრებამ.

კრებების მუშაობაში მონაწილეობდა 300 ათასამდე კაცი, გამოვიდა თითქმის 120 ათასი. კრებებში მონაწილეობენ ზემდგომი პარტიული ორგანოების წარმომადგენლები, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატები. ნიშანდობლივია, რომ მრავალი დელეგატი ეწერება არა მარტო თავიანი კოლექტივების, არამედ ქალაქის და რაიონის სხვა ორგანიზაციების კრებებსაც, ანუ კომენტარებისაგან, შშრომელებისაგან - შესაბამის რჩევა-დარიგებებსა და განმარტებებს კონფერენციის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს აქტიურად და დაინტერესებულად იხილავენ აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, ტელევიზიაზე და რადიოს გადაცემებში. მრავალი მასობრივი ინფორმაციის საშუალება სპეციალური რუბრიკებით საფუძვლიანად აშუქებს თეზისებში ჩაშოყალიბებულ პრობლემებსა და საკითხებს. მათ აქტიურ განხილას მოწმობს მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი წერილებიც, რომლებიც უშუალოდ პარტიულ ორგანოებში იგზავნება.

გამოსულება და წერილები შიცავს როგორც მოლიანად თეზისების, ისე მათი ცალკეული პუნქტებისა და მეტი წილი დებულებების მოწონებასა და მხარდაჭერას. ამავე დროს გამოითქმება სხვადასხვა კონკრეტული წინადადება, შენიშვნა, შესწორება, რომლებიც წარმოიჩენენ, აკსებენ და აღრმავებენ ზოგიერთ დებულებას. ამ დებულებას განზოგადებულად ანალიზებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფები და აცნობენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

ამავე დროს თეზისების განხილვის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ყველგან როდი დაძლეული წარსულთანთან დამახასიათებელი ფორმალიზმისა და ზედმეტი ორგანიზებულობის გამოვლინებანი. ზოგიერთი კრება მიმდინარეობს უინტერესოდ, წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით, არ არის დისკუსიები და გულახდილი აზრთა გაცვლა, მოწყვეტილია ამა თუ იმ კოლექტივის რეალურ ცხოვრებასა და საარსებო ინტერესებს. კრებებზე დამსწრე ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლები ხშირად სჯერდებიან მხოლოდ მეთვალყურეობის პასიურ როლს, არ ანიჭებენ განხილას საჭირო ტონსა და მიმართულებას.

კრებებში მოხსენული კონფერენციის დელეგატები ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან აქტიურობას, არ განმარტავენ თავიანთ პოზიციებსა და მოსაზრებებს, რომლებითაც უნდა წარსდგნენ ქვეყნის პარტიული ფორუმის წინაშე.

რესპუბლიკური პრესისაგან განსხვავებით, ყველა ადგილობრივი გაზეთი როდი ჩაბმულა აქტიურად თეზისების განხილვაში, ნაკლებ გამოხმაურებებს აქვეყნებს მათ შესახებ, თანაც მხოლოდ მოქალაქეთა წერილების სახით, არ იყენებს მასალების მიწოდების მრავალფეროვან ფორმებს. ჯერჯერობით არ იგრძნობა სათანადო აქტიურობა განხილვაში საერთო ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროფილისა და შიმოქმედებითი ორგანიზაციების მრავალი მეცნიერული კოლექტივის მხრივ. გარკვეულ პასიურობას აკლებენ აგრეთვე სხვადასხვა დონის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მუშაკები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის სოფლო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მიაღწიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს განხილვის ბოლო ხარისხს, შემჭიდროვდეს თითოეულ კრებაზე ისეთი ვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს იმას, რომ საქმიანი და კონსტრუქციული, გულახდილი და დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართოს გარდაქმნის გაღრმავების, მისი დამამუხრუჭებელი ფაქტორების დაძლევის კონკრეტულ გზებზე, შეიმუშაონ ქმედითი ღონისძიებანი და წინადადებანი, რომლთა მიზანია საზოგადოების, კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარის განახლების დაჩქარება. განხილვას წინ უნდა უძღოდეს ყოველმხრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ ყველა კომუნისტი და უპარტიო კარგად გაერკვეს თეზისების სულისკვეთებაში, ხასიათსა და შინაარსში, გამოთქვას მათ შესახებ დასაბუთებული, მოფიქრებული მოსაზრებანი, რომლთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს ვითარების ანსებითს გაჯანსაღებას, საქმის მდგომარეობის გაუჯობესებას.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინადადება მიეცათ თეზისების შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში მიაღწიონ მეტ სიღრმესა და დასაბუთებას, კონსტრუქციულ მიდგომას აღძრული პრობლემებისადმი, ორიენტირი მისცენ საზოგადოებრივ აზრს საქმიანი პოლემიკის საჭიროებაზე, რომელიც გამომზიარებულ კონკრეტულ პრობლემას კოლექტივში, დარგში, რეგიონში საქმის ოდესღაც ეითარებიდან, უფრო ხშირად მისცენ სიტყვა მეცნიერულ და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს; შემოიღონ პრაქტიკაში კომპეტენტურ პირთა მხრივ თეზისების შესახებ წინადადებებისა და შენიშვნების დასაბუთებული განმარტება; გაამრავალფეროვნონ საინფორმაციო მიმდინარეობის გაშუქების ფორმები და მეთოდები, ამასთან ჩართონ რეპორტაჟები კრებებიდან და მოაწყონ მათი პირდაპირი ტრანსლაციები; მოაწყონ „მრგვალი მაგიდები" კონფერენციის დელეგატთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობით პრესის ფურცლებზე აღძრული სადავო პრობლემების ახსნა-განმარტებისა და დაზუსტებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამუშაო ჯგუფებს დაეალათ უზრუნველყონ თეზისების შესახებ შემოსულ წინადადებათა და შენიშვნათა საგულდაგული შესწავლა. ამასთან მოიხიდონ შესაბამისი სპეციალისტები, განაზოგადონ ეს წინადადებები და შენიშვნები და კომენტარებს, მშრომელებს გააცნონ ისინი, რომლებიც არ იყო საკმაოდ დასაბუთებული და მათი შემდგომი განხილვა არამზანმეწონლად ცნეს, აგრეთვე კონფერენციის დელეგატებს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია თეზისების განხილვის პროცესში გამოთქმული სურვილებისა და შენიშვნების შესახებ, რათა გამოიყენონ ისინი კონფერენციის მუშაობაში.

მიზანშეწონილად ცნეს საკავშირო კონფერენციის წინ მოეწყოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციისაგან მისი დელეგატების კრება, რომელზეც უნდა განიხილონ შრომითი კოლექტივებისაგან მიღებული განაწესები და რჩევა-დარიგებანი, მოისმინონ დელეგატთა მოსაზრებანი კონფერენციის მუშაობაში მათი აქტიური მონაწილეობის შესახებ და შეიმუშაონ საერთო პლატფორმა და მიდგომები მასზე განსახილველი საკითხებისადმი. კრებამდე მოეწყობა დელეგატთა შეხვედრები მონათესავე კონფერენციებისა და დარგების მიხედვით, მათ მიერ მოქალაქეთა მიღება შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ ადგილებში.

(საინფორმ).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოს სს რესპუბლიკაში XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვა. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა რადიოელექტრონული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ანგარიში ეკონომიკური რეფორმისა და სოციალური გარდაქმნების განხორციელებაში პროფკავშირულ ორგანიზაციათა როლის გაძლერებისათვის მიმდინარე მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ, ხელმძღვანელობს რა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მოთხოვნებით, აღნიშნული პროფკავშირის კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა ახლადდადგენილ ეტაპზე დასაბული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის, წარმოებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიზაციის პროცესებისა და თვითმმართველობის განვითარებაში შრომელთა გაეტიურების გაძლიერებისათვის.

ამასთანავე კომიტეტის მუშაობის, შრომითს კოლექტივებზე მისი ზემოქმედების დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება გარდაქმნის ახალი ეტაპის მოთხოვნებს. პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის სტილი და მეთოდები ნელა იცვლება, გარდაქმნათა მიმდინარე პროცესებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობანი ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება. კომიტეტი, ძირეული პროფკავშირული რგოლები ბევრ რამეში კვლავ ძველებურად, გაუბედავად მოქმედებენ, მთლიანად არ იყენებენ მინიჭებულ ფართო უფლებებს. შრომელთა ინიციატივისა და თვითმმართველობის განვითარებაში, მათთ უმნიშვნელოვანესი სოციალური ინტერესების დაცვაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ მიმართულებით კომიტეტის საქმიანობა არასაკმარისად ცნო და დაავალა მას პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება მიაყოროს მუშაობას, რომელიც უკავშირდება მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, შრომისა და მისი ანაზღაურების ორგანიზაციაში დაგეგმვის სრულყოფას, ამასთან შრომელთა უფლებების თანამიმდევრულ დაცვას საფუძვლად დაუდოს დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპები, ინიციატივისა და თვითმმართველობის განვითარება.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების დებულებათა შესაბამისად გაანალიზონ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანოების, კადრების, აქტივის მუშაობის შინაარსი და სტილი და საჭირო ღონისძიებანი დასახონ ამ მუშაობის გასაძლიერებლად, მოსთხოვონ თითოეულ პროფკავშირულ კომიტეტს გამოიჩინონ მართვისა და მეურნეობის გაძლოლის ნამდვილი უნარი, საქმით გამოიყენონ გარდაქმნით მინიჭებული შესაძლებლობანი.

კონტროლის წესით ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ წევრის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" გენერალური დირექტორის ე. ალალიახისა და პარტიული კომიტეტის მდივნის ზ. კეკელიძის უფრადღება მიაპყრო იმას, რომ საკმარისი არ არის ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება მოწყობილობის ტექნიკური დონისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყოველდა ცალკეულ დაკავებათა შესრულება, და მოსთხოვა მათ აღმოფხვრან არსებული ბალლავანებანი. გაერთიანების პარტიულ კომიტეტსა და ხელმძღვანელობას დაეალა ენერგიულად წარმართონ მუშაობა ეკონომიკის მართვის სრულყოფისათვის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მიაღწიონ ახალი სამეურნეო მექანიზმის. დანერგვასთან დაკავშირებული საწარმოებისა და სამეცნიერო ქვეგანყოფილების უკვე სმსახურის გარდაქმნას.

შეჯამდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის სოციალისტური შეჯიბრების 1988 წლის პირველი კვარტალის შედეგები. ამ საკითხზე მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

კლანტაციაში ოჯახი შრომობს

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშის კოსტატაეფების სახელობის კოლმეურნეობაში კომუნისტ კარბეი და ბაირი დეფის ზაირა ჯინჯიების ოჯახი იკრის პრინციპებით მუშაობს. ჩაიბა და თამბაქოს პლანტაციებში, სამინდის ყანაშიც შშრომელთან ერთად გამოვის თერთმეტივე შვილი!

სოფელში დიდად პატივცემულია ეს მრავალშვილიანი ოჯახი. ზურაბი და სურამი უკვე ჩამოვიდნენ ჯარიდან, ინდირამ უმაღლესი დაამთავრა, რამინი, საიდა, ასიდა, აიდა, ნაიდა, მერაბი, ომარი და რომა ხალოანში სწავლობენ. საამო უფროსი კი მისაღეს გამოცდებს ამარებენ.

სურათზე: კარბეი და ზაირა ჯინჯიების მრავალშვილიანი ოჯახი ჩაიბ პლანტაციაში.

საინფორმ. ფოტო.

ქვეყნა თეატრი—დედაქალაქში

საქართველოს დედაქალაქი კვლავ რესპუბლიკის სასცენო კოლექტივების სტუმართმოყვარე მასპინძელია. 15 ივნისს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში დაიწყო საქალაქო და რაიონული თეატრების მეორე რესპუბლიკური ფესტივალი, აქ ორი კვირის განმავლობაში მოეწყობა ამ ბოლო დროს 14 შემოქმედებითი კოლექტივის მიერ შექმნილი საუკეთესო დადგმების თავისებური რეტროსპექტივი.

ფესტივალის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატაშვილი, პ. ი. გილაშვილი და ნ. ა. ფოფხაძე.

გახსნა რა დათვალიერება, საქართველოს კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა ფულოთადად მიულოცა შემოქმედებითი ზეაღირების მონაწილეებსა და სასცენო ხელოვნების მოყვარულებს თეატრალური დღესასწაული. ხუთი წელი გავიდა, აღნიშნა მან, პირველი ამგვარი ფესტივალის შემდეგ, რომელიც მოეწყო „საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. ამ სპრეგრამაში დოკუმენტში, რომელიც დასახა თეატრების საქმიანობა გაუმჯობესების გზები, ახალი შესაძლებლობები შექმნა ადგილებზე თეატრალური ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. წინა დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ საქმიანა ამგვარი შეხვედრები, რომელთა მიზანია შემოქმედებითი კოლექტივების ნამუშევრების ჩვენება ფართო აუდიტორიისათვის, ურთიერთგამამდიდრებელი კვეშრი და პროფესიული დიალოგები, საუკეთესო ნამუშევრების წარალისება, სასცენო კოლექტივებისათვის რეალური დახმარება.

120 პრემიერა გაიმართა წელს რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ თეატრებში. მეთგან საუკეთესოები შესულია საფესტივალო აფიშაში.

ფესტივალის მონაწილეებსა და მაყურებლებს გულთბილად მიიღოდა დღესასწაულთ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, სსრ კაკეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის ერთ-ერთ ცის ქვეშ", ერთ-ერთ ცის ქვეშ", ერთ-ერთ ცის ქვეშ",

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

რას ფიქრობს ხალხი

პარტია და გარდაქმნა

ძიების გზა იოლი არ არის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების, გარდაქმნის რთული პროცესის პრობლემათა შესახებ ბევრ საფეხურად ბადებს, საწინააღმდეგო მოსაზრებათა გამოთქმის შესაძლებლობას ძლევენ, განსჯას ითხოვს. ჩვენ შეჯიჯგულებათა კრიტიკულების, რწმენის, სულიერ ფასეულობათა შეჯერების ზოგიერთ საკითხზე გამოთქვამთ ბჭობ ბრს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პირველ მუხლში მითითებულია იმაზე, რომ აუცილებლად უნდა ამაღლდეს იდეურ-პოლიტიკური მუშაობის თეორიული დონე. იგი ნაყოფიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ სოციალიზმის საფუძველზე და სოციალიზმისათვის წარმმართება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ისტორიის მანძილზე ჩატარებულ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მეტად მდიდარი, წინააღმდეგობებით სავსე წარსული აქვს. აღინიშნებოდა გამარჯვებები, მარცხი. ამ მუშაობის მეთოდებიდან და ფორმებიდან ბევრი უარყოფილია, ნაწილი მოძველებულნა, მაგრამ ისე არ უნდა გამოგვივიდეს, რომ „ვარცლიდან წყალი გადავდე



დიალოგი მონოლოგის ნაცვლად

გარდაქმნის, განახლების სუნთქვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრა და ბევრი დიდი ხნის ნაზეპირები ლოზუნგი თუ დევიზი გაიუფასურა. „ჩვენ ქვეყანას ყველაზე მეტი ინჟინერი, ეკონომისტი და პედაგოგი ყავს“, „შენთვის ღია ყველა უმაღლესი სასწავლებლის კარი“, — ვიმეორებდით წლების განმავლობაში დიპლომიანებად ან არ ვკუთრდა ისინ ღირსება, თუ რა ოფარებოდა ოპტიმიტური დეკლარაციებით აჭრელებული პოპულისტური ანრანის ბილიკი. თუმცა ყველა ჩვენგანი ცოტას როდი ეცინებდა ახეთ დიპლომიან ეკონომ, სულ უბრალო დიაგნოზის დასმა რომ არ შეეძლო, ინჟინერს, პატარა ბიგორის გადებასაც რომ არ ანდობდნენ, უცხო ენის „სპეციალისტს“, ან ეროვნ ორ წინადადებას რომ ვერ გადაადგამდა.

ახლა უკვე გვაოფნის საიმისო გამბედობა, სიმართლეს შეეხებიან თვალებში და ვალიარით, რომ, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ჩვენი დიპლომიანი ახალგაზდა სპეციალისტი ვერ უსასუხებს თანამედროვეობის მოთხოვნებს; რომ სტუდენტთა რაოდენობის გამოდევნებამ საგრძნობლად დაიკეკთო ცოდნის ხარისხი: რომ დიპლომი ახალგაზრდებისათვის (უფრო მეტად კი მათი მშობლებისათვის) პრესტიჟად თვითმიზნად იქცა; რომ ათობით წლების განმავლობაში უმაღლესი სკოლა სულ უფრო და უფრო თმობდა პოზიციებს...

„უმაღლესი და საშუალო სკოლა ბევრად ჩამორჩა ცხოვრებას, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესის მოთხოვნილებებს. საჭიროა მოეწესოს საზოგადოების ენერგიული ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ თვისებრივი ცვლილებანი მის გამოთარიგებაში, — ნათქვამია XIX პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცკ თეზისებში.

ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია მიზნად არ ისახავს ამ საპასუხო მოვლენის სათავეების ძებნასა და კვლევას, საშუალო თუ უმაღლესი სკოლის ბრალეულობის გარჩევას. ამაზე ბევრი საგულისხმო თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმებზე, რომლებზეც პარტიული, სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან განიხილეს სკოლის რეფორმის გაღრმავების პარტიული, დაწესრულები განახლებაზე, თუ რა ფფერხებს მთლიანად განათლების სისტემის გარდაქმნას.

როგორია ვითარება დღეს ჩვენს უმაღლეს სკოლებში, რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგა გარდაქმნის გზაზე? — ამაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ „კომუნისტის“ მრგვალ მაგიდასთან რუსუთაველის უმაღლესი სასწავლებლების რექტორები: ნოდარ ამაღლობელი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ალეკო გვიანაშია (აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თეიმურაზ ლოლაძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), რევინ მეფარეული (თბილისის პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი), ელგუჯა მალრაძე (თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტი), დავითი ბალაძე (ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი), რუთენ აბაბილოვი (სამხრეთი ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი), აჩაჩილ ასათიანი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი), ოთარ ნათიშვილი (საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), გიორგი აგლაძე (საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი), ეთერ გუგუშვილი (საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი), ნოდარ გაბაშვილი (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია).

ნოდარ ამაღლობელი: ეფექტურობა, ჩვენი საუბარი იმით უნდა დავიწყოთ, თუ რა არის ყველაზე ნამანდოსანი ფენა ფენებს შორის. ეს, ალბათ, ეროვნული ინტელიგენციაა. ეროვნული ინტელიგენციის ბედი, ეროვნული ინტელიგენციის ბედი, ეროვნული ინტელიგენციის ბედი,

რუსთაველის საზოგადოებაში

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის პირველმაჯე სხდომამ ყველა დაარწმუნა მის სოციალურ აქტიურობაში. სავსებით უარის თქმა, როგორც რეგლამენტირებულ „დღის წესრიგზე", ისე ორატორთა ნინამწერ შედგენილ სიაზე, კონკრეტულობა და ღრმა დაინტერესება საზოგადოებრიობის მიერ აღძრული პრობლემებისა და საკითხების გადაჭრისადმი უკმნინ მის ტრიბუნას ავტორიტეტსა და პატივისცემას. აი რატომ არის, რომ საზოგადოების პრეზიდიუმის თითოეულ სხდომას ფართო რეზონანსი აქვს რესპუბლიკაში.

ᲛᲘᲬᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲯ

ᲒᲐᲪᲘᲡᲝᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ დისკუსია გამოიწვია საქართველოს სსრ მიწის ფონდის გამოყენების ძირითადი პრინციპებისა და მიწათმოწყობის აქტიალური პრობლემების, რომელიც განიხილა საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის გ. მგელაძის მონაწილეობით. ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის სამმართველოს უფროსმა გ. ჩიკვილაძემ და რესპუბლიკის სახაგრომრეწვის „საქმიწაროეკტის" ინსტიტუტის დირექტორმა ა. ჩარქესელიანმა.

ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის თავისუფალი მიწებისა რაოდენობით საქართველო რიგი რელიეფის გამო ერთ-ერთი ბოლო ადგილზეა. საქართველოს მიწის ფონდი, ყიზილარის გადასარეკ საძოვრებთან ერთად, შეადგენს 7.273.100 ჰექტარს. ბევრ სიძნელეებს ქმნის კოლხეთის დაჭაობებული ტერიტორიები, რომლებზეც თუმცა უკვე ნახევარი საუკუნეა სრულდება დაშრობის სამუშაოები, მაგრამ დანახარჯების სრულ უკუგებამდე ჯერ კიდევ მეტად შორს არის. ბევრი პრობლემაა რესპუბლიკაში დიდძალი მლაშნი და ეროზიირებული მიწების არსებობის გამო. მეცნიერთა მონაცემებით, საქართველოში მარტო მიწების ეროზიის ლიკვიდაციას 2 მილიარდი მანეთი სჭირდება. ამჟამად რესპუბლიკას ასეთი სახსრები არა აქვს, რაც ზღუდავს სამუშაოთა ფრონტს. ამასთან დაკავშირებით წამოაყენეს წინადადება, რომ საკავშირო მთავრობას სთხოვონ ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დამატებითი სახსრების გამოყოფა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები ი. აბაშიძე, ა. ბაკრაძე, ს. ცაიშვილი, ს. ცისკარიშვილი, ვ. ბერიძე, მ. ლორთქიფანიძე, ა. ბარამიძე, გ. ციცეშვილი, თ. ავაკიანტრიაძე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც სხდომაში მონაწილეობდნენ, დაისვა საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების თავისებურებებიდან გამომდინარე მოსახლეობის საჭიროებისათვის მიწების გაცემის შესახებ საერთო-საკავშირო კანონმდებლობაში დიფერენციაციის დაწესების საჭიროების შესახებ. აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებას საქართველოში მიწების გაცემისას.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭიეს მხარი აზრს, „რომ ამ შეშობაში ფართოდ უნდა ჩაებას რუსთაველის საზოგადოება. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა შეიქმნას საზოგადოებაში „მიწის" კომისია.

აზრთა გულახდილი, დაინტერესებული გაზიარების საგანი გახდა მოსახლეობის მიგრაციის, მიწის არსებული კადასტრის დაცვის პრობლემები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად საქართველოში მოქმედი მიწათსარგებლობის კანონის სრულყოფას, ამ დარგში კანონმდებლობის ზუსტად დაცვას. უკანასკნელ წლებში მიწების გაცემა მკვეთრად შეიზღუდა: განვლილი 15 წლის მანძილზე რესპუბლიკაში პირადი სარგებლობისათვის გაცა 4143 ჰექტარი მიწა, აქედან ახალი სოფლების მშენებლობისათვის — 1741 ჰექტარი, სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთათვის — 1271, ოჯახებიდან გამოყოფილთათვის — 1132 ჰექტარი.

სხდომის მონაწილეებმა ყურადღება დაუთმეს სხვა სოციალურად მნიშვნელოვან პრობლემებსაც, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, დემოკრატიზაციის კურსის შესაბამისად მათი გადაჭრის უტყუარი გზების ძიებას.

(საქინფორმი).

ᲒᲣᲨᲘᲜ — ᲓᲦᲔᲡ — ᲮᲕᲐᲚ

ფაქტი ▪ მოვლენა ▪ კომენტარი

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

● **ᲓᲘᲓᲘ** ხნის მეგობრობა და შრომითი მეტოქეობა აკავშირებთ ერმანენთთან აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონისა და ყვარლის რაიონის მშრომელებს. ახლახან ყვარელში მოეწყო კახის რაიონის დღეები. ინტერნაციონალურ სალამაში მონაწილეობდა სტუმართა მრავალრიცხოვანი დელეგაცია.

გიიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ კახის რაიონის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი, კახისთავის ქართული ხალხური სიმღერების გუნდი, აღიბეგლოს ქართული სასალხო თეატრი და კახის აზერბაიჯანული დრამატული თეატრი.

სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონის ეროსსანშნაობანი, ეწვივნენ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმსა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმს, შეხვდნენ მშრომელთა კოლექტივებს.

▼ ▼

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲜᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲨᲘ

● **ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** პრესა იუწყებოდა, მაისის დამლევს ავსტრიაში საქართველოს დღეების ფარგლებში ინსბრუკში მოეწყო საქართველოს სახალხო მხატვრის ნოდარ მალაზონიას ნამუშევრთა გამოფენა. ეესპოზიციამ საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და, სპეციალისტებისა და კრიტიკოსთა ერთსულოვანი აღიარებით, აღმოჩინა ავსტრიელებს საქართველო, მისი განუმეორებელი პეიზაჟები, ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ცხოვრების გაცნობას.

გაითვალისწინეს რა ავსტრიელთა დიდი ინტერესი ქართველი მხატვრის შემოქმედებისადმი, ნოდარ მალაზონიას ნამუშევრები ერთ თვეს ექსპონირებული იქნება ქალაქ ლინეის სურათების გალერეაში.

▼ ▼

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲜᲚᲝᲑᲐ

● **ᲛᲘᲜᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ** კოდა-თეთრი წყაროს საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია, რომლის შედეგადაც მანძილი 23 კილომეტრამდე შემცირდება, გაიზრდება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების პირობები, მკვეთრი მოსახვევები ან მთლიანად უქმდება, ან თითქმის ორჯერ მცირდება მათი კუთხეები, შენდება საყრდენი კედლები, რამდენიმე ახალი ხიდი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ხიდი ასურეთის ხევზე. გზის სიგანე მთლიანად 10 მეტრით ფართოვდება.

გზას აშენებს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს თეთრი წყაროს №17 საგზაო-საექსპლატაციო უბანი. დაწინაურდნენ ის კოლექტივები, რომელთაც ინკირები დიმიტრი ნიკოლაშვილი და ტრისტან მერებაშვილი უდგანან სათავეში. ეს ახალგაზრდები სამი წლის წინათ განწირულებით მოვიდნენ სამუშაოდ რაიონში.

▼ ▼

ᲛᲐᲡᲘᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲔᲠᲔᲗᲘ

ᲛᲘᲗᲘᲚ ჩვენს ქვეყანაში გახდა ცნობილი საჩხერის რაიონში მდებარე კურორტი კვერეთი. ამას ხელი შეუწყო მთის ნაზმა ბუნებამ და შესანიშნავმა პაერმა, ჩანჩქერთა სიმრავლემ და ძვირფასმა ბალნეოლოგიურმა წყალმა, რომლის ბუნებრივად თბილი აბანაზენი კურნავს რევმატულ, გულსისხლძარღვთა და სხვა დაავადებებს.

ადგილობრივი კურორტების სისტემის დასასვენებელი სახლი უკანასკნელ წლებში მთლიანად განახლდა. ძველი, პრიმიტიული ნაგებობები ჩეხური ტიპის ორსართულიანმა კოტეჯებმა შეცვალა, რომელიც მოსერხებულია დასასვენებელთათვის. კეთილშეწყო კურორტის ტერიტორია, მისა სვლელი ხიდი კაპიტალურად შეკეთდა, მდინარე ჩიხურა რკინაბეტონის ჯიხურებში ჩაჯდა. ადგილობრივ კლუბში სისტემატურად უჩვენებენ ვიდეოფილმებს, მოკმედებს ღია ესტრადა.

ერთდროულად აქ ისვენებს და მკურნალობს ასზე მეტი კაცი, სეზონში კი ათასზე მეტი კაცი დასვენებს.

▼ ▼

„ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲕᲝᲜᲑᲘᲚᲕᲐᲠ, ᲒᲐᲕᲖᲠᲓᲘᲚᲕᲐᲠ"

● **ᲑᲐᲠᲘᲡᲐᲮᲝᲜᲘ** დუშეთის რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს თავიანთ თანამემამულეს, ცნობილ პოეტს გიორგი გიგაურსს.

პოეტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გახსნა ბარისახოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ბ. არაბულმა. მისასალმებელი სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. ციცინაშვილი, მწერალთა კავშირის მდივანი ხ. ბერულავა, ალმასან „ცრიტიკონ" რედაქტორი რ. მიშველაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. გოგოფური, პოეტები ი. არაბული, ი. გოგოლაური, ნ. გურამიძე, დ. მჭედლური, ბ. არაბული, პროზაიკოსი გ. ხორნაული, ბარიის დუშეთის რაიკომის მდივანი ლ. თურმანაული, ბარისახოს მეურნეობის დირექტორი გ. ჭინჭარაული, მეთიკლასის მოსწავლე თ. ჭინჭარაული, პოეტის სიძე-მეგობარი გ. ლეონელი.

შეხვედრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა კონცერტით დამთავრდა.

▼ ▼

ᲡᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ

● **ᲠᲣᲡᲔᲚᲘ** მარილმადიდებელი ეკლესიის ახალი ეპიზკოპი მოსკოვში თავის წელთაღრიცხვან დაიწყებს 1988 წლის 13 ივნისიდან, როცა ცარიცინოსთან, კაშირის გზატკეცილის მახლობლად, დაიდგა დასაბარებელი ქვა. წინათ ელ გრანტზე წარწერილია: „აქ აშენდება ტაძარი რუსეთის ნათლისღების ათასი წლისთავის აღსანიშნავად".

ამით მოსკოვის საბჭოს აღმასკომმა დაამაყოფილა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის თხოვნა, რომელიც მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრაზე გამოთქვეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა და წმინდა სინოდის წევრებმა.

ორენოვო-ბორისოვოში ზეიმის დროს გადაისადეს პარაკლესი და ვალობა საეკლესიო გუნდი. ძველ-ტაძრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა პატრიარქმა პიმენმა. ცერემონიაზე იყვნენ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი კრების მონაწილენი, მრავალი უცხოელი სტუმარი, რომელთაც ზეიმზე ჩამოვიდნენ. ტაძრის საძირკველის ჩაყრისას გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე კ. მ. ხარჩევი.

▼ ▼

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ...

● **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡᲐᲥᲣᲗᲝᲕᲐᲜᲘ** იუბილე აღნიშნა ამიერკავკასიის წიოელდრომშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი — საბჭოთა სამხედრო-პატრიოტული სიმღერის, ჩვენი ქვეყნის ხალხების შემოქმედების, საზღვარგარეთელ კლასიკის აქტიურმა პროპაგანდისტმა.

ანსამბლის შექმნაში მეორეს 1938 წელს დაემარნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. პაპორნი და ს. ბაბლოვები, კოლექტივის პირველივე შემოქმედებითი კონცერტებიდან იგი წიოელარმიელთათვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს მშრომელთათვის სასურველი სტუმარი გახდა.

ამიერკავკასიის წიოელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიციერთა სახლში გამართული საზეიმო კონცერტის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა ანსამბლის 50 წლისთავს, ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ი. ნ. როდიონოვმა მსახიობთა დიდ ჯგუფს გადასცა ფასიანი საჩუქრები და საპატიო სიგელები.



რუბრიკისათვის გამოყენებულია საკავშირო, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

სალამურსა გულში ჩავწვდი. ᲕᲐ. ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ „ᲓᲔᲡᲐᲜᲢᲘ"

ᲐᲮᲐᲚᲘ სიცოცხლე და დანშნულება პოეტ ძველმა ხიდმა ზეს-ტაფონის შესასვლელთან. მას შემდეგ, რაც მდინარე ძირულაზე რკინა-ბეტონის ახალი ხიდი აშენდა, იგი თითქოს უმაქნის გახდა. ახლა კი აქ გადაჭიმულია ნაირფერი კარვები, აშენებულია იმპროვიზებული დახლები, გაისმის ცხოველთა საუბარი. არა მარტო ზესტაფონელებს, არამედ მიმდებარე სოფლების მეცხოვრებლებიც ჩამოვიდნენ საყიდლებისათვის ბაზრობაზე, რომელიც ძველი ხიდის ტერიტორიაზე მოაწყო ადგილობრივმა სამომხმარებლო კოოპერაციამ.

70 ბაზრობა გაიმართა ამ დღეებში რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, კურორტებსა და საგარეუოო ადგილებში. ისინი ვაჭრობის განვითარების სულ უფრო ქმედითი საშუალება ხდებიან. გასულ ზაფხულთან შედარებით სუფთა პაერზე ასეთი ობიექტების რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა.

საგაჭრო სერვისი ღია ცის ქვეშ მოქმედებს დეკემბრამდე: „მყიდველს — მაქსიმუმი ყურადღებაა". საგულდაგულოდ არის მოფიქრებული საქონლის საასორტიმენტო მინიმუმი, ბაზრობებზე იწყობა მყიდველთა კონფერენციები, ტანსაცმლის ახალი მოდელების ჩვენება.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲣᲓᲔᲙᲝᲠᲐᲪᲘᲝᲓ...

18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრის დასი თბილისიდან ტოკიოში გაფრინდა, სადაც იგი გასგარძოს საგასტროლო ტურნეს. ბრიტანეთის ამ ცნობილ სასცენო კოლექტივის პროგრამამ მიხედვით პიოველი სპექტაკლი საქართველოს დედაქალაქში 9 ივნისს უნდა გაემართა, მაგრამ საპირო გახდა მის აფიშაში მოპაოლალეკენ ერეტანთ კორეტტვები. გასტროლების გახანგა გადაიტანეს, ოვიეე გამეორდა მეორე, შესაძე დღეს... და ბოლოს, გაოცებულ მაყურებელს, რომელიც უდიდესი ინტერესით ელოდა სახელგანოქმელ დასთან შეხვედრას, გამოუცხადეს, რომ თანამედროვეობის გამოჩენილი რეჟისორის პიტერ ბროლის მიერ დადგმული „ციმბელინი" რუსთაველის თეატრის სცენაზე გიიმართება უდიკორაციოდ და უკოსტიუმოდ. რამდენიმე უფასო წარმოდგენა, უფრო სწორად რეპეტიციები გიიმართა რუსთაველელთა მეორე სცენაზე სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის. საბოლოო ანგარიშით კი მაყურებელმა ლონდონის თეატრის ბრწყინვალე ნამუშევრები სანახევროდ გაიცქო, რომლებმაც ასეთი სახითაც კი ცხადყვეს, თუ რაოდენ უნიკალური და მრავალგანზომილებიანია ეს შემოქმედებითი კოლექტივი.

რა მოხდა? რატომ ვერ იბილეს ქართველმა მაყურებლებმა დიდი ბრიტანეთის მსახიობთა სრულფასოვანი გასტროლები, რატომ ვერ დატანეს ელისონ ჩიტის შესანიშნავი სცენოგრაფიით, ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებით. რატომ ვერ შეძლო ინგლისის თეატრმა თბილისში ეჩვენებინა სრული სცენური წარმოდგენა?

გვესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დორიან კიტია:

ეს უწინარესად ბენზინის „ბრალია"... მოსკოვში გასტროლების დამთავრების შემდეგ თეატრმა რეკეტიტის დატვირთვა დაიწყო თავის სატვირთო ავტომობილებში. სპეციალური ხელმძღვანელობა შეეცადა გადაეთქმევინებინა სტუმრებისათვის ეს და შესთავაზა თავისი ნაცადი მანქანები, რადგან წინასწარ იცოდა, რომ საქვავი, რომელიც უნდა ჩაესხათ ბაკებში, თბილისისაკენ მომავალ გზაზე, „ვერ ეგუება" ინგლისის განებივრებულ ძრავებს. მაგრამ შეთავაზებული მანქანები იმდენად შეუხედავი იყო, რომ სტუმრებმა გადაწყვიტეს თქვეს უარი მის გამოყენებაზე. დედაქალაქიდან დაიძრა თეატრის ავტომობილების შესანიშნავი ეკსკორტი, რომელიც გზაში ყველას ყურადღებას იპყრობდა. ბენზინის პირველივე ჩასხმის შემდეგ ერთ-ერთი მანქანის ძრავი აფეთქდა, შემდეგ იგივე დაემართა მეორეს, მესამეს... ძრავებმა, რომლებიც „ბიჩეფული" იყო სუფთა ბენზინს, ვერ გაუძლო გამოცდას, და ვერ მოინელა არასაკმარისად გაწმენდილი საწვავი, რომელსაც ასხამდნენ ჩვენი ტარასების ბენზინის სადგურებში. პიატიგორსკში საბარგო მანქანები უკვე ბუქსირით ჩამოიყვანეს. კვლავ იძულებითი გაჩერება. ამ დროს კი დიდწყო ახალი დღე — 12 ივნისი, რომელიც ოფიციალურად თბილისში თეატრის გასტროლების დაბურვის დღად იყო გამოცხადებული. და ბოლოს, სალამოს, მრავალ ტანგვა-ფიწალება გამოელილი ავტომანქანები სახელდახელოდ შეკეთებული ძრავებით შემოოღდნენ თბილისის ფაკრლებში: რუსთაველის სახელობის თეატრში ამ დროს მთავრდებოდა გამოსათხოვარი სპექტაკლების ბოლო აქტი.

თუმცა, როგორც ერთ-ერთმა მსახიობმა იოხენჯა, საქართველოს მიწაზე იძულებითი მოცდენა მთელმა კოლექტივმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. კულტურის შესანიშნავი ძეგლები, მუზეუმები, შეხვედრები ქართველი კოლეგების ხელოვნებასთან, რესპუბლიკის მშრომელებთან დიდხანს დარჩება ჩვენს გულში... ბოლო ეს კი სულაც არ იყო ხუმრობით ნათქვამი: „საფუძვნთაროა, რომ იმედი ვერ გაუმართლეთ საქართველოს დედაქალაქის მაყურებლებს, რომლის კულტურასაც დიდად ვაფასებთ და სადაც განსაკუთრებით გვინდოდა თავი გამოგვეჩინა..."

(საქინფორმი).

ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში გიიმართა ქართული დოკუმენტური ფილმების რეტროსპექტული ჩვენება, რომელიც საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის ლენინური დეკრეტის 70-ე წლისთავს მიეძღვნა.

არქივში ინახება ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმები, კინოჟურნალები, კინოსიუჟეტები, დოკუმენტური ფოტოსურათები, თემატური ფოტოალბომები, ქრონიკალურ-დოკუმენტური და მხატვრული ხმის ჩანაწერები, ყოფილი სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელის სიმონ ესაძის ფონდში არის პირველი ფოტოსურათები — თბილისისა და მცხეთის ძველი უბნები, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ოზურგეთის ხედები, ქარაფლისა და კახეთის სოფლები. აქ ინახება დ. ერმაკოვის ფოტოოოლექციი, რომლის ფოტოალბომები თუთმეტ ათას პოზიტივს აერთიანებს: „მცხეთობა", „თეთრი გვირილების დღესასწაული" და სხვ.

კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივის სიმაღაეი 1912 წელს გადაღებული პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური კინონაწარმოები — ვასილ ამაშუკელის „ბაკაი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში".

პირველი მსოფლიო ომის დროს არის ჩაწერილი ძველი ქართული სიმღერები „ხასანბეგურა", „მაგრული", „შეიდაკაკა", „ერავალდამიერი". არქივის ოქროს ფონდს შეადგენს ვანო სარაჯიშვილის გუნდის ჩანაწერები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების ხმის ჩანაწერები.

დღეისათვის არქივის საგანძურმა შეადგინა 200 ათასზე მეტი ფოტოდოკუმენტი, 25 ათასი კინო და 15 ათასზე მეტი ფონონაწერი, რომლებიც 1858-1985 წლებით თარიღდება და ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ეოფსალი მატიანეა.

არქივში დაცულ მასალებს ფართოდ იყენებენ დოკუმენტური და მხატვრული ფილმების გადაღების დროს. ასე შექმნა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა 12-სერიანი ფილმი „საქართველოს კინომატიანე", დოკუმენტური ფილმები: „ქართული ლენინიანა", „მაჭის გორკი თბილისში", „გზა" და სხვ.

დოკუმენტების პოპულარიზაციას ეწევიან თვით არქივის თანამშრომლები. მათმა დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველოს არქივები" საკავშირო გამოფენაზე ბრონზაოს მედალი მოიპოვა. მომზადდა და გამოიცა ფოტოალბომები „საბჭოთა საქართველოს 50 წელი", „საბჭოთა საქართველოს 60 წელი", „ლენინი და საქართველო", „საბჭოთა კავშირის ერთიან ძმურ ოჯახში", საინტერესოა ციკლური გადაცემები — ტელეპუბლიკაციები, რომლებიც ეთერში მიდის რუბრიკებით: „ლაპარაკობს ისტორია", „ეუშინ და დღეს" და სხვ.

იმ დღეს, რეტროსპექტიულ ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ფილმი, რომლებსაც დიდი ინტერესით შეხვდა დამსწრე საზოგადოებრიობა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ფარგლად გაშლის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ნებისმიერ სპეციალისტსა და დაინტერესებულ პირს შეუძლია არქივში მივიდეს და დაუბრკოლებლად მოიძიოს მისთვის სასურველი მასალა. მასპინძლები — არქივის თანამშრომლები კი ყოველთვის მზად არიან დასახმარებლად.

კ. აბაშიძე.

ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ

ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘ. ისინი უნდა დაბრუნდნენ, ყველანი უკლებლივ — ასეთია ლატმოტივი პრესკონფერენციისა, რომელიც ამ მაისში ეროვნული ფილარმონიის „ლიტერატურნაია გაზეთა" რედაქციაში იმ ინტერნაციონალისტი საბჭოთა მეომრების მოწყალეობით, თავი რომ დაალწიეს დუშმანთა ტყვეობას.

ისინი ხუთნი არიან — ა. ჟურავეი, გ. ჩარიეეი, მ. იაზკულეეი, ვ. დიდენკო და კ. მეტლეკოვი — ქაბულში, რომელმაც ტყვეობის ყოველგვარი სპინოლეანი ოწვნეს. ამ ბიეეების მოკლე ნაამბობი იმ უსაშინელეს დანაშაულობათა დატურია, რომელებსაც ახლაც სჩადიან, როცა საბჭოთა მთავრობა განუბრელად ასრულებს ყენეის შეთანხმებებს და გამოაყავს თავისი ჯარები ავღანეთიდან.

— დღეისათვის 311 ჩვენი მეომარი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, — თქვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ვ. ხრობოსტოვმა. — ჩვენთვის ცნობილია, რომ მათი დაალოდონთ მესამედი ბრძოლებში დაიღუპა, დანარჩენების ინტერსიური ბედნა გრძელდება. ბევრი ახლა ტყვედ არის პაკისტანის ტერიტორიაზე. მათი სიცოცხლე საფრთხეშია, ჩვენი მოსვლა და საბჭოთა არმიის სარდლობა ყველაფერს ღონიერ, რათა იხსნან საბჭოთა ჯარისკაცები, დაადგინონ, რა ბედი ეწია თითოეულ მათგანს.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ და პაკისტანის ტერიტორიაზე წაასხეს, ბუნაგ აგდიან, შანტაჟისა და დაშინების ობიექტად იქცნენ. ცდილობენ გადაათქმევინონ სამშობლოში დაბრუნებაზე, უმტკიცებენ, შინ დეენა მოგელითო.

— მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ყოველგვარი ასეთი ლაპარაკი მტკნარი სიცრუეა, — განაგრძო გენერალ-მაიორმა ვ. ხრობოსტოვმა. — აქ დამსწრე, ფრეთვეი ტყვეობიდან დაბრუნებულ სხვა ჯიბეკების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნორმალური შრომითი ცხოვრება ელით. ისინი და მთი ოჯახები მზრუნველობითა და ყურადღებით არიან გარემოსილნი.

ამას ადასტურებენ ყოფილი მეომრებიც — პრესკონფერენციის მონაწილენი, რომლებმაც თავიანთ მშვიდობიან ცხოვრებაზე ილაპარაკეს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲑᲐ

ᲣᲙᲐᲕ გიიმართა ევროპის ჩემპიონატის ორი ტური, მაგრამ ჭეოჭეორნით ცნობილი არ არის არცერთი ნახევარფინალისტის ვინაობა. სამაგიეროდ გარკვეულია, რომ მედლებისთვის ბრძოლას ვეღარ გააგრძელებენ დანიისა და ინგლისის გუნდები. დანიელები, როგორც ცხობილია, მასპინძლებთან დამარცხდნენ — 0:2, ინგლისელებს კი ჰოლანდიელებთან მოეცარათ ხელი — 1:3. სპეციალისტების საერთო აზრით, ინგლისისა და ჰოლანდიის ფეხბურთელთა მატჩი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იყო ამ ჩემპიონატზე. მართალია, ინგლისელები პირველ ტაიმში უფრო ენერგიულად მოქმედებდნენ, მაგრამ 44-ე წუთზე გელატმა და ვან ბასტენმა ბრწყინვალე კომბინაციია გაითამაშეს და წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი. ამ მატჩში ვან ბასტენმა კიდევ ორი გოლი გაიტანა (73-ე და 76-ე წუთებზე) და მეტოქეს ყოველგვარი იმედი გადაუწურა. აღსანიშნავია, რომ ყველა საგოლე კომბინაციაში მონაწილეობდა გელატი. ერთადერთი სპასუხო გოლი რობსონის ანგარიშზე მოდის.

ძალზე საინტერესო გამოდგა იტალიისა და ესპანეთის გუნდების მატჩიც. იტალიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს — 1:0. გოლის ავტორია ვიალი.

— ესპანელებთან, როგორც წესი, ბეჯითს თამაში, — ამბობს გამარჯვებული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვირინი, — ამიტომ განსაკუთრებით მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ჩვენ არა მარტო ორი ქულა მოვიპოვეთ, არამედ ლირსეული ფეხბურთიც ვაჩვენეთ.

საინტერესოა, რომ იტალიის გუნდი ყველაზე ახალგაზრდულია ამ ჩემპიონატზე (საშეალო ასაკი — 25 წელი), ყველაზე „ბანდაზმული" კი საბჭოთა კავშირის ნაკრებია (27,6). საბჭოთა ფეხბურთელები, სიმართლე უნდა ითქვას, ეპიზოდურად თუ აჩვენებენ თანამედროვე ფეხბურთს. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მწვრთნელებმა თამაშის დაცვითი ვარიანტი აირჩიეს და გუნდი პირველ წუთებიდანვე ძირითადად საკუთარ კარის უსაფრთხოებისთვის ზრუნავს. ასე იყო ირლანდიელებთან მატჩშიც. საკმარისია თქვას, რომ მცველებმა პირველ ტაიმში 19-ჯერ მიაწოდეს ბურთი დასაკავ. მართალია, ფეხბურთში ეს აკრძალული არ არის, მაგრამ ამგვარი „მეთოდი" საეჭვოა გუნდის ავტორიტეტს წაადგეს. ეროიც არის: ჭეოჭეორნით დაცვითი ტაქტიკა ამარცხებს და საბჭოთა ნაკრები ნახევარფინალში გასელის რეალურ შანსს ინარჩუნებს. გუნდმა სტარტზე ალეტეულ ორ ქულას კიდევ ერთი მიუმატა — უფლეულს ბრძოლაში მოპოვებული ქულა. ამ შეხვედრაში ანგარიში ირლანდიელებმა გახსნეს. 39-ე წუთზე ნახევარმცველმა ველნმა გაიტანა ულამაზესი გოლი. ირლანდიის ნაკრები შესვენებამდეც და მეორე ტაიმშიც კიდევ არაერთხელ იყო მიზანთან. მაგრამ კვლავ საიმედოდ თამაშობდა დასაეეი, რომელმაც პირისპირ დარჩენილ მეტოქესთან შეტაკებისას ტრავმა მიიღო და დატოვა მოედანი. საბჭოთა ნაკრებმა ანგარიში 75-ე წუთზე გაქვითა: ერთადერთი მწვავე შეტევა ზუსტი დარტყმით დაგვირგვინა პროტასოვმა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: დასაეეი (ჩანოვი), სულაქველიძე (გოცმანოვი), ხიდიატულინი, კუზნეცოვი, დემიანენკო, ალეინიკოვი, რაეი, ზავაროვი, მიხაილიჩენკო, პროტასოვი და ბელანოვი.

ორი ტური შემდეგ პირველ ჯგუფში სამ-სამი ქულით ლიდერობენ გფრ-ისა და იტალიის ფეხბურთელები, მეორე ჯგუფში ამდენივე ქულა აქვთ ირლანდიისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს.

საბჭოთა ნაკრები ბოლო მატჩს 18 ივნისს ინგლისის გუნდთან გამართავს.